შ.პ.ს გრუსიას დირექტორს ბატონ

ბ. მერმანიშვილს.

მომიჯნავე შენობების- ქ.თბილისში ნ. ტაბიძის
I შესახვევი №6-ში და ნ. ნარიმანოვის ქ. №10-ში
დამხმარე სათავსოს არსებულ
ტექნიკურ მდგომარეობასა და
საპროექტო შენობის მშენებლობის
პროცესში მათზე ზეგავლენის შესახებ

დასკვნა

სახელშეკრულებო სამუშაო შესრულებულია შ.პ.ს გრუსიას და ზ.კუჭუხიძეს შორის 2020 წლის 17 სექტემბერს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

ხელშეკულების საგანს წარმოადგენს მომიჯნავე შენობების- ქ. თბილისში, ნ. ტაბიძის I შესახვევი №6-ში (ს/კ 01.18.01.002.007) და ნ. ნარიმანოვის ქ. №10-ში (ს/კ 01.18.01.002.004) მდებარე შენობის და დამხმარე სათავსოს არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესში მათზე ზეგავლენის შესახებ ტექნიკური დასკვნის მომზადება.

ზემოთ აღნიშნული საკითხი განხილული იქნა საქართველოში მომქმედი ნორმების და წესების საფუძველზე, კერძოდ: საპროექტო შენობის საძირკვლის ქვემოთ შეკუმშული გრუნტის სიმძლავრე და ახალი მშენებლობის გავლენის რადიუსი განისაზღვრა ნორმატული დოკუმენტის ”СП 22.13330.2011” 9.33, 9.34 პუნქტების გათვალისწინებით და შენობის როგორც”შენობა- ფუძის გრუნტის” სისტემის სივრცითი ანგარიშით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე. წესების კრებულის СП 22.13330.2011, 9.35, 9.36 პუნქტის მიხედვით, გეოტექნიკური კვლევის ჩატარებამდე საჭიროა მშენებლობის გარშემო არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა, რომელიც განხორციელდა ”შენობების და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები”, ”СП-13-102-2003”-ის მიხედვით. ”СП-13-102-2003”-რეგისტრირებულია საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში.

შეზღუდულ პირობებში მშენებლობის დროს შენობის ხანგამძლეობის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს შენობის საძირკვლების დეფორმაცია-მათი ჯდენა. როგორც ცნობილია შენობის საძირკვლების თანაბარი ჯდენა არ იწვევს შენობის მზიდ კონსტრუქციებში დამატებით ძაბვების წარმოშობას. მაშვინ როცა შენობის საძირკვლების სხვადასხვა ნაწილებში წარმოიშვება არათანაბარი სიდიდის ჯდენები,

ეს უარყოფითად მოქმედებს საძირკვლების და მთლიანად შენობის მზიდ კონსტრუქციებზე.

ახალი შენობის მშენებლობით წარმოიშვება **დამატებითი დატვირთვები**, რომლის ზემოქმედებით (ახალი შენობის ახლოს) არსებული შენობები განიცდიან დეფორმაციებს. დამატებითი დატვირთვების შედაგად, არსებული შენობების საძირკვლებში წარმოშვებული არათანაბარი ჯდენები, იწვევს არსებული შენობის მიწისზედა (მზიდ და არამზიდ) კონსტრუქციებში ბზარების წარმოშობას. არათანაბარი ჯდენების შედეგად შეიძლება მოხდეს არსებული შენობის ნგრევა ან გადახრა. ახალი მშენებლობით წარმოშობილი დატვირთვების შედეგად გამოწვეულ ჯდენებს, რომელსაც განიცდიან არსებული შენობები, უწოდებენ დამატებით დატვირთვებით გამოწვულ ჯდენაბს (**S_{ad}**). დამატებითი დატვირთვების გამოწვული ჯდენების ზღვრული სიდიდე СП 22.13330.2011 პუნქტ 9.37 მიხედვით ჩაიწერება **$S_{ad} \leq S_{ad.u}$**. სადაც, **S_{ad}**-დამატებითი ჯდენების სიდიდეა, რომელიც განისაზღვრება წესების კრებულის СП 22.13330.2011, პუნქტ 9.33 -ში აღნიშნული მითითებებბის საფუძველზე. **$S_{ad.u}$**-დამატებითი დატვირთვების შედეგად მიღებული ჯდენების ზღვრული მნიშვნელობაა, რომელიც მიიღება СП 22.13330.2011 წესების კრებულის "Л" დანართის მიხედვით, არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით (დანართი "Е" СП 22.13330.2011. ცხრილი 2.1).

წესების კრებულის СП 22.13330.2011 პუნქტი 9.34 მიხედვით, ახალი მშენებლობის გავლენის ზონის რადიუსი შეიძლება შემოისაზღვროს მანძილით, სადაც დამატებითი საანგარიშო დატვირთვით გამოწვეული ჯდენების სიდიდე, არსებული შენობის საძირკვლის ძირზე არ აღემატება 1 მმ-ს.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თუ დასაპროექტებელი შენობისგან გრუნტზე გადაცემული დატვირთვა მეტია არსებული შენობების გრუნტზე გადაცემული დატვირთვაზე, საჭიროა ახალი დასაპროექტერებული შენობა, არსებული შენობებისაგან დავაცილოთ მანძილით **$L \geq Hc$,** სადაც **Hc-** ახალი დასაპროექტებელი შენობის საძირკვლების ქვემოთ შეკუმშული გრუნტის სიმძლავრეა(С.Н. Сотниковб, В.Г. Симагин, В.Г Вершинин. "Проектирование и возведение фундаментов вблизи существуюших сооружений". Б.И Далматов "Проектирование и устройство фундаментов около существуюших зданий"). **Hc**- მნიშვნელობა მიიღება СниП 2.02.01-83 საფუძველზე და ახალი შენობის "შენობა- ფუძის გრუნტის" სისტემის სივრცითი ანგარიშით.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, წესების კრებულის(СП 22.13330.2011) 9.35, 9.36 პუნქტის მიხედვით, გეოტექნიკური კვლევის ჩატარებამდე საჭიროა ახალი მშენებლობის გარშემო არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა.

დასაპროექტებელი შენობის ტერიტორიას, დასავლეთით ესაზღვრება შენობა, რომელშიც განთავსებულია **ნ. ნარიმანოვის ქ.10-ში,** ხოლო აღმოსავლეთით ოთხსართულიანი შენობა- სარდაფით, განთავსებული **ნ.ტაბიძის ქ.№6-**ში.

დასავლეთით განთავსებული შენობის ტერიტორიაზე არსებობს ორი ნაგებობა-ორსართულიანი შენობა სარდაფით და ერთსართულიანი დამხმარე ნაგებობა, რომლის ტორსული კედელი ემიჯნება ასაშენებელი შენობის ტერიტორიის სასაზრო ღობეს.

დამხმარე ნაგებობა გეგმაში მართკუთხრდის ფორმისაა, გაბარიტული ზომებით (დაახლოებითი) 22.0X9.0მ-ი, იგი ერთსართულიანა არ გააჩნია სარდაფი, აღმოსავლეთის მხარეს შენობას სხვენში გააჩნია სათავსო(სურ.1,2). მის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს გრძივი და განივი კედლები ნაგები წვრილი სამშენებლო ბლოკით. შენობის სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 3.50 მ.-ია. სახურავი ოთხქანობიანია, შენობის და სხვენის გადახურვა განხორციელებულია ხის კოჭებით. შენობის ეზო შემოღობილია წვრილი სამშენებლო ბლოკით მოწყობილი კედლით. დამკვეთის მიერ წარმოდგენილო ტოპოგრაფიული გეგმის მიხედვით, ეზოს აბსოლუტური ნიშნული საშუალოდ 424,0 მ-ია, ჩვენ მიერ განხილული დამხმარე შენობის საძირკლები დასაძირკვლებულია ეზოს ზედაპირიდან 0.70 მ-ის სიღრმეზე.

ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ შენობის აღმოსავლეთის ტორსულ და ჩრდილოეთის გრძივ კედლებზე არსებობს სხვადასხვა გახსნილობის ბზარები(შენობის გარე გრძივი კედლის ფასადი- სურ. 3,4,5,6,7.შენობის შიდა სივრცე- სურ.8,9), ასეთივე მდგომარეობაა ეზოს შემომზღუდავი ღობის კედლის კონსტრუქციებში(სურ.10,11,12). შენობის ვიზუალური გამოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ: შენობის ჩრდილოეთის გრძივი ფასადის გასწვრივ არსებული დეფორმაციები, კედლის გასწვრივ, ბეტონის შემონაკირწყლის ამორტიზაციის შედეგია, რის გამოც ატმოსფერული ნალექები გროვდება საძირკველთან და ჩაედინება ფუძე გრუნტში(სურ.13,14), აღსანიშნავია, რომ შენობის ეზოს აღმოსავლეთით განთავსებულ ღობის კედელითან ატმოსფერული ნალექების გარდა კედელთან გროვდება ნარგავების მოსარწყავი სტაციონალური სისტემიდან გამომდინარე წყალი და ჩაედინება ღობის კედლის საძირკველში. გრუნტის დასველებით მცირდება ფუძე გრუნტის ფიზიკო-

მექანიკური თვისებები, რის გამოც განხორციელდა საძირკვლების ჯდენა და კონსტრუქციაში ბზარის წარმოშობა.

ასაშენებელი შენობის ტერიტორიის დასავლეთით განთავსაბულია ოთხსართულიანი შენობა, რომელიც გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, ორსადარბაზოიანია, გაბარიტული ზომებით 38.0X11.60 მ-ი, (სურ. 15,1617,18) გააჩნია სარდაფი. შენობა განთავსებულია ხელოვნურად მოწყობილ ტერასაზე. სარდაფის, ზეძირკვლის და სართულის სიმაღლე 1.80, 0.75, 3.30 მ-ია შესაბამისად. დამკვეთის მიერ შენობის სარდაფში, დასავლეთის ტორსული კედლის კუთხეში, გაყვანილი იქნა შურფი. დადგინდა: შენობის საძირკველი ლენტურია, გაფართოების გარეშე, მისი ჩაღრმავება სარდაფის იატაკიდან 0.3-0.35 მ-ია, იგი ფუნდირებულია კლდოვან გრუნტზე(სურ.19). შენობა მსხვილბლოკოვანია, მისი ორჭრადი კედლები გახორციელებულია პემზაბეტონისაგან, ხოლო სარტყლის ბლოკები დადუღებულია კარკასით და დაბეტონებულია მძიმე ბეტონით. კედლების სიგანე 0.40 მ-ია, სარდაფის კედლები და ზეძირკველი ბეტონისაა(სურ.20) სართულთშორისი და სასხვენო გადახურვა მოწყობილია ბრტყელი ღრუტანიანი რკინაბეტონის ფილებით, სისქით 0.22 მ-ი(სურ.21). სართულებს შორის კავშირი ხორციელდება სადარბაზოებში განთავსებული, ორი კობით. კიბის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს ლითონის შველერი [№16, რომელზეც დამონტაჟებულია მოზაიკური ბეტონის საფეხურები(სურ.22). სახურავი ოთხქანობიანია, რომელიც დაფარულია მოთუთიებული ლითონის ფურცლებით. შენობის სახურავის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს ხის კოჭებისგან განხორციელებული ნივნივები.

ვიზუალური გამოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ შენობის მზიდ კედლებს რაიმე დაზიანებები, გამოწვეული საძირკვლის ჯდენით ან მისი მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის დაკარგვით, არ გააჩნიათ. შენობის ეზოს აბსოლუტური ნიშნული 418.44 მ-ია. საძირკვლები ფუნდირებულია ეზოს ზედაპირიდან 2.10 მ-ზე

ქ. თბილისში, ნ. ტაბიძის №6-ში (ს/კ 01.18.01.002.007) და ნ. ნარიმანოვის ქ. №10-ში (ს/კ 01.18.01.002.004) მდებარე დამხმარე სათავსოს შენობები მიერთებულია საქალაქო ქსელებს, ისინი ამჟამად ფუნქციონირებენ. СП 22.13330.2011 წესების კრებულის ”E” დანართის, მიხედვით, არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება შეაფასდეს, როგორც დამაკმაყოფილებელი- ეს არის ტექნიკური კატეგორია, როდესაც შენობის მზიდი კონსტრუქციებში, მისი მასალის თვისებების გათვალისწინებით, დაკმაყოფილებულია ნორმების მოთხოვნები, რომელიც მიეკუთვნება პირველი ჯგუფის ზღვრული მდგომარეობას, რაც შეეხება მეორე ჯგუფის ზღვრულ მდგომარეობას,

ნორმების მოთხოვნები დარღვეულია, მაგრამ უზრუნველყოფილია ნორმალური ექსპლუატაციის პირობები. შენობები და ეზოს შემომსაზღვრელი ღობე(**ნ. ნარიმანოვის ქ.10)** საჭიოროებს რემონტს, ლოკალური დარღვევების გამოსწორებით, მზიდი კოსტრუქციების გაძლიერების გარეშე.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დასპროექტებელი შენობა გეგმაში რთული ფორმისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით 32.80X18.60 მ-ი. იგი მრავალსართულიანია, გააჩნია სარდაფი, შენობის ქვაბულის ძირის აბსოლიტური ნიშნული 460.17 მ-ია. სარდაფის და სართულების სიმაღლე 2.50(იატაკიდან ჭერამდე) და 3.15 (იატაკიდან იატაკამდე) მ-ია შესაბამისად. შენობის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს რკინაბეტონის სივრცითი კარკასი, რომლის მზიდ ელემენტებს წარმოადგენს სვეტები და რიგელელები -კვეთში ზომებით 0.5X0.7, 0.5X0.4 მ-ია შესაბამისად, ისინი არმირებულია Ø 16,18,20,22.25 A500C კლასის არმატურით. სართულთშორისი და სახვენო გადახურვის ფილები კონსტრუირებულია 0.17 მ-ის სისქის რკინაბეტონის ფილებით, რომლებიც არმირებულიაØ 12,14 A500C კლასის არმატურით.

კიბის უჯრედის კოსოურები განხორციელებულია რკინაბერონის 0.16 მ-ის სისქის ფილით, რომელსაც შეთავსებული აქვს საფეხურები, იგი არმირებულიაØ 14 A500C კლასის არმატურით. შენობის ქვაბულის სიმაღლე ეზოს ზედაპირიდა 4.50 მ-ია.

ადგილზე გაზომვის და გენგემის მონაცემების მიხედვით დადგინდა, რომ ტაბიძის I შესახვევი №6-ში და ნ. ნარიმანოვის ქ. №10-ში მდებარე დამხმარე სათავსოს მზიდი კედლები, დასაპროქტებელი შენობის ქვაბულის კონტურიდან **L=** 17 მ-ით არის დაცილებული.

დასაპროეტებელი შენობის როგორც"შენობა- ფუძის გრუნტის" სივრცითი სისტემის ანგარიში განხორციელდა"LIRA SAPR 2016" პროგრამის საშუალებით. ანგარიშით მიღებულია, რომ დასაპროექტებელი შენობის საძირკვლების ქვემოთ შეკუმშული გრუნტის სიმძლავრე, ტოლია **Hc=** 7.0 მ-ის. აქედან გამომდინარე კმაყოფილდება პირობა, რომ საპროექტო შენობის ქვაბულსა და მის მახლობლობაში არსებული შენობებს შორის მანძილი **(L=17** მ) ორჯერ მეტია საძირკვლების ქვემოთ შეკუმშული გრუნტის სიმძლავრეზე **L≥Hc.** (სურ. 23). ასევე, ანგარიშით დადგინდა, რომ ახალი მშენებლობით წარმოშობილი დატვირთვების შედეგად გამოწვეულ ჯდენების სიდიდე S_{ad}, რომელსაც განიცდიან არსებული შენობების საძირკვლები, ნულის ტოლია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:


საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესი, ქ. თბილისში, ნ. ტაბიძის I შესახვევი №6-ში (ს/კ 01.18.01.002.007) და ნ. ნარიმანოვის ქ. №10-ში (ს/კ 01.18.01.002.004) მდებარე დამხმარე სათავსოს არსებულ ტექნიკურ მდგომარეობაზე, ზეგავლენა არ მოახდენს.

საპროექტო შენობის საძირკვლისათვის ქვაბულის მოწყობის დროს გათვალისწინებული იყოს შემდეგი ღონისძიებები.

1. **ახალი შენობის საძირკვლისათვის ქვაბულის მოწყობის დროს არ იქნეს გამოყენებული სამუშაოთა წარმოების დარტყმითი მეთოდები;**
2. **ქვაბულის შიდა სივრცეში მაქსიმალურად შემცირდეს სამუშაოთა წარმოების დრო;**
3. **დაუშვებელია ქვაბულის გარე კონტურზე სამშენებლო მასალების დასაწყობება;**
4. **სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს ქვაბულის გარე კონტურიდან 1.0 მ -ი მანძილზე შემოიღობოს მანიშნი ბაბთით. ქვაბულის კონტურის გასწვრივ აიკრძალოს პერსონალის მოძრაობა.**

შეასრულა

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი. ზ. კუჭუხიძე



სურ.1



სურ.2



სურ.3



სურ.4



სურ.5



სურ.6



სურ.7



სურ.8



სურ.9



სურ.10



სურ.11



სურ.12



სურ.13



სურ.14



სურ.15



სურ.16



სურ.17



სურ.18



სურ.19




სურ.20



სურ.21



სურ.22



სურ. 23

ზურაბ კუჭუხიძის (01030019032) მიერ შესრულებული მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩამონათვალი 1992-2020 წ.

№	შესრულებული სამუშაოების დასახელება	შესრულების წელი	დამკვეთი
1	2	3	4
1	თბილაბრეშუმი “ცისარტყელა”-ს საბავშვო ბაღის შენობის დეტალური გამოკვლევა და გაძლიერება	1992	თბილაბრეშუმი
2	ქ. ამბროლაურის აეროპორტის შენობის ლენტური საძირკვლისა და მონოლით-ური ფუნდამენტის ფილის მოწყობა	1992	ქ. ამბროლაურის აეროპორტის ადმინისტრაცია
3	ქ. თბილისში ა.შ.შ.-ს შენობის საელჩოს შენობის გაძლიერების პროექტი	1995	ქ. თბილისში ა.შ.შ.-ს საელჩო
4	რუსთავის მეტალურგიული ქარხნის “სტრ-900”-ის რეკონსტრუქცია	1996	მეტალურგიული ქარხნის ადმინისტრაცია
5	რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოქსოქიმიური საამქროს საკვანძო ფარეხის შენობის გაძლიერება	1996	მეტალურგიული ქარხნის ადმინისტრაცია
6	დემირელის სახ. სკოლის საერთო საცხოვრებელის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევა	1999	ადმინისტრაცია
7	ქ. ბათუმში დ. თავდადებულის ქუჩაზე 9 სართულიანი 103	1999	ქ. ბათუმის მერია

	ბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის გაძლიერება		
8	ქ. ხაშურში №4 ბაგა-ბაღის გაძლიერების პროექტი	1999	ქ. ხაშურის მერია
9	ქ. ბათუმის ხორცკომბინატის საამქროს დეტალური გამოკვლევა და გაძლიერება	1999	ქ. ბათუმის ხორცკომბინატი
10	საქართველოს განათლების სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევა	2001	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
11	საქ. ბანკის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, რეკომენდაციების დამუშავება და პროექტი	2002	სადაზღვევო კომპანია "იმედი-ლ"
12	ქ. თბილისის უსინათლო და სუსტ მხედველ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის შენობის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევა და გაძლიერების პროექტი	2002	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
13	ქ. თბილისის №55 საშუალო სკოლის დეფორმირებული კონსტრუქციების გაძლიერება-რეკონსტრუქციის პროექტი	2002	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
14	ქ. ხაშურში ავტო-მოტო სერვისის საწარმოო შენობის გაძლიერება	2002	ავტო-მოტო სერვისი
15	ქ. თბილისში	2004	ქ. თბილისის

	კლასიკური გიმნაზიის №1 საშუალო სკოლა, მშენებარე მე-2 კორპუსის არსებული მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა		მერია	
16	გაეროს პროგრამა საქართველოში, ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, I და II ეტაპი	2004	გაეროს პროგრამა საქართველოში	
17	საქართველოს პარლამენტის ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევა და აღდგენა-გაძლიერების პროექტი	2004	საქართველოს პარლამენტის ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკა	
18	ბორჯომის წყალმომარაგების ნაგებობის გაძლიერება	2004	„კომუნპროექტი“	
19	ქ. თბილისში ავლაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის მშენებარე ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2005	სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური	
20	ქ. თბილისში კედიას ქ. №4-ში “წკს” შენობის ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2005	“წკს” ადმინისტრაცია	“წ
21	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს I	2005	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების	

	კორპუსის შენობის უკანა ფლიგელის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და გაძლიერების პროექტის მომზადება		სამინისტრო	
22	კინოსტუდია “ქართული ფილმი”-ს ძირითადი კორპუსის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2005	შ.პ.ს. “არქიტექტურა ჯგ.”	
23	ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №4-ში მდებარე სახლის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2005	შ.პ.ს“არქიტექტურა ჯგ“	
24	ქ. ბათუმი, რკ. შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და რეკომენდაციების დამუშავება	2005	შ.პ.ს „არქიტექტურა ჯგ“	
25	ქ. თბილისში ლომოურის ქ. №1-ში „ა“ და „ბ“ საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	2005	სახლის დირექცია	
26	კავკასიის ბიზნეს სკოლის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და გაძლიერების პროექტის მომზადება	2005	კავკასიის ბიზნეს სკოლა	
27	ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ	2005	“ტ.ბ.ს. ბანკი”	
28	სოფ. მუხრანში ივანე მუხრან-ბატონის მარნის	2005	შ.პ.ს “არქიტექტორები-	

	ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა		ჯი”-ს 23 ივნისს
29	ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ. №47-ში მდებარე საზოგადოება “ცოდნის” შენობის ±0.00 ნიშნულზე “თ” და “ნ” ღერძებს შორის მდებარე დეფორმირებული აივნის მზიდი კონსტრუქციების გაძლიერებისა და აივნის ფართში 3 სართულიანი სათავსოს მოწყობის პროექტი	2006	შ.პ.ს. ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი
30	ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე №33-ში მდებარე საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო კორპუსის ცენტრალური ნაწილის დეფორმირებული “გ” კორპუსის გაძლიერების მუშა პროექტი	2006	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი 2006 1 მარტი №31.03/06
31	ქ. ბათუმში და ქ. თბილისში სააქციო საზოგადოება საქართველოს ბანკის კუთვნილი შენობის ტექნიკური გამოკვლევა მათში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით	2007	შ.პ.ს“საქართველოს ბანკი“
32	ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. №5-ში მდებარე სასაწყობო შენობის გადახურვის მზიდი წიბოვანი ფილების დეტალური ტექნიკური	2007	“მაგთიკომი”, 2007.I0.09

	გამოკვლევა სიმტკიცეზე და დასკვნა-რეკომენდაციების შემუშავება აღდგენა-გაძლიერების პროექტისათვის		
33	ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე რესტორან "დედა ზოია" მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგრადობის შესწავლა მასზე ორი სართულის დაშენების შესაძლებლობის განსაზღვრის მიზნით	2007	
34	ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №21-ში მდებარე შენობის ნაწილის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების პროექტი	2007	ძველი თბილისის რაიონის გამგეობა ხელშეკრულება №21/07 24.04.07
35	ქ. თბილისში, წურწუმიას ქ. №16-ში მდებარე 88-ე საჯარო სკოლის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილი	2007	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
36	სოფ. ჯაფარიძეში, წმინდა სერაფიმე საროველის სახელობის ეკლესიის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	2008	შეწირულობით
37	სასჯელაღსრულების	2008	სასჯელაღსრულებ

	დეპარტამენტის ქ. რუსთავის №1 დაწესებულების სამსართულიანი კორპუსის, მისი ეზოს პერიმეტრის შემომფარგლავი ღობის და საქვაბის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა		ის დეპარტამენტი
38	ქ. თბილისში, ნაკაშიძის ქ. №8, ნაკაშიძის №10-ში, მდებარე შენობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა ვიზუალური გამოკვლევის საფუძველზე	2008	“გაი ბარნკსის” წარმომადგენელი გიორგი ბათლიძე
39	ქ. თბილისში, პროექტი “საქანელა”-ს ფარგლებში, ჯავახიშვილისა და საქანელას ქუჩებზე მდებარე შენობების დემონტაჟის მონიტორინგი	2008	“ცენტრპლაზა”
40	ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. №176-ში მდებარე სამსართულიანი შენობის (ახალ მშენებლობასთან მიმდებარე) მარჯვენა ფლიგელის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა მზიდ კედლებში ბზარების (დეფორმაციების) ფიქსაციით	2008	შ.პ.ს. “ინეკო”
41	ქ. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქ. №79-ში მდებარე შენობის ტექნიკური გამოკვლევა	2008	ირაკლი მთიბელიშვილი
42	ქ. თბილისში,	2008	შ.პ.ს

	საქანელას ქ. №37-ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის დეტალური ტექნიკური გამოკვლევა		“ცენტრპლაზა”
43	ქ. საჩხერის რაიონული საავადმყოფოს შენობის (ოთხ, ორ და ერთსართულიანი ნაწილები) არსებული მდგომარეობის შესწავლა და მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური გამოკვლევა	2008	“ასოციაცია ატუ” 2008 13 მარტი
44	ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ. №21-ში განლაგებული საწარმოო კორპუსის-კოშკის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	2008	“სი-ფი-აი ჯორჯიას” 2008 2 ივლისი №228 ხელშეკრულება
45	დაბა საქობიოში აგროტერმინალის რკინაბეტონის კონსტრუქციების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	2008	შ.პ.ს. “თერმი”
46	ქ. თბილისში, ვარკეთილის-3 მესამე მიკრორაიონის 33 კორპუსის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების მუშა პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	2008	ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახური 2008 ბწ. 26 თებერვალი
47	ქ. თბილისში, 300 არაგველის ქ. №24-ში მდებარე შენობის მე-5 ღერძზე სიხისტის დიაფრაგმების	2008	შ.პ.ს “ოლდ თბილისი კონტრაქშენ” 2007 25 აგვისტო ხელშ. №13

	მოწყობის პროექტი		
48	ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №65-ში მდებარე შენობის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების პროექტი	2008	შ.პ.ს“ოლდ თბილისი კონტრაქშენ“
49	ქ. თბილისში, ქ. წამებულის №3-ში მდებარე ოთხსართულიანი შენობის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2008	“კორ სტანდარტ ბანკი” ხელშეკრულება №4/1509
50	ფონიჭალაში მდებარე მთავარი საწარმოო ორსართულიანი, ოთხმალიანი, კარკასული შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მასში მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით	2008	“საქრუსეთ რძის კომპანია”
51	ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქ. №47-ში მდებარე საზოგადოება “ცოდნის” და ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ერთობლივი შენობის “გ” ბლოკში “მ”, “ნ” “9-16” ღერძებს შორის ±0.00 ნიშნულზე მდებარე ტერასაზე ასაწყობი, მსუბუქი საჩრდილობელის მოწყობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	2009	შ.პ.ს. ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი

52	ქ. თბილისში, მ.კოსტავას ქ. №47-ში მდებარე შენობის ნაწილში (ღერძები “9-11” ÷ “დ-3”) სახურავის მოწყობის კონსტ. ნახაზების დამუშავება	2009	შ.პ.ს. ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უნივერსიტეტი
53	ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რ-ში გორგასლის ქ. №17-ში მდებარე ორსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2009	“ოლდ-თბილისი კონტრაქშენ” ხელშეკრულება №IN-14
54	ქ. ქობულეთის მახლობლად სოფ. კვირიკეში გეგმაში მართკუთხა ფორმის რკინაბეტონის რეზერვუარის ძირის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2009	“წყალმშენი” ხელშეკრულება №2/09 6.V.09
55	ქ. ქუთაისში, თეთრამიწის რაიონში, გეგმაში მართკუთხედის ფორმის რეზერვუარის მზიდი კონსტრუქციების მდგომარეობის გამოკვლევა	2009	“მუნიციპალ-პროექტი”-ს 2009 4 ივნისი, ხელშ. №3
56	ქ. ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე გეგმაში მართკუთხედის ფორმის, მონოლითური რკინაბეტონის სასმელი წყლის (2W=5000 მ³) რეზერვუარის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა	2009	“მუნიციპალ-პროექტი”-ს 2009 4 ივნისი, ხელშ. №3
57	ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას №51-ში	2009	საქართველოს საპატრიარქოს

	მდებარე საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლის ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა მასზე ერთი სართულის დაშენების მიზნით		წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლა
58	ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. №189-ში მდებარე №10 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის დაშლა-დემონტაჟის სამუშაო ორგანიზაციის პროექტი	2009	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
59	ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, IV კვარტალი, კორპუს 2-ში მდებარე რვასართულიან სახლზე განხორციელებული მინაშენის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და შემდეგში მისი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება	2009	ამხანაგობა “კაკტუსი”
60	ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ-ზე მდებარე იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საოფისე შენობის კონსტრუქციების გამოკვლევა	2009	სსიპ “აღსრულების ეროვნული ბიურო” 2009 23 ივნისი
61	ქ. თბილისში, შუამთის ქ. №20-ში მდებარე №108 საჯარო სკოლის მარჯვენა ფლიგელის	2009	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

	(“ბ” ბლოკის) დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი		
62	ქ. თბილისში, მ.სულუხიას ქ. №4-ში მდებარე №36 საჯარო სკოლის შენობის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების პროექტი	2009	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
63	ქ. თბილისში, თემქის III მ/რ მეოთხე კვარტალში მდებარე 159-ე საჯარო სკოლის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების პროექტი	2009	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო
64	ქ. ონში, სააკაძის ქ. №8-ში მდებარე მიწისძვრისაგან დაზიანებული რვასართულიანი შენობის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების მუშა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილი	2009	ონის გამგეობა
65	ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას მეხუთე კვარტალში მდებარე პირველი კორპუსის, მეხუთე-მეშვიდე სადარბაზოებს შორის არსებული ნაკვეთურის (დეფორმაციის ნაკერებს შორის) გეოდეზიური დაკვირვების განხორციელება	2010	ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რ-ნის გამგებელს შორის დადებული ხელშეკრულება №080403/10/9-437
66	სს “პირიმზე”-ს	2010	სს “პირიმზე”

	მშენებარე ობიექტზე სართულთშორისი ანაკრები გადახურვის ფილების გამოკვლევა, შერჩევითი გამოცდა სტატიკურ დატვირთვებზე და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენა		
67	ქ. მცხეთაში მდებარე მდ. არაგვისა და მტკვრის შესართავთან მდ. არაგვის მარჯვენა და მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირთან საკანალიზაციო სალექარის და ადმინისტრაციული შენობის პროექტები	2010	”კომუნპროექტი”
68	ქ. თბილისში, კანდელაკის ქ. №2-ში მცხოვრები შ. კოვზირიძის კუთვნილი ბინის (№18) დეფორმირებული კონსტრუქციების გაძლიერების პროექტი	2010	შ. კოვზირიძე
69	ქალაქ ფოთის წყალსადენის ნოსირი-ნაბადას უბნის რეაბილიტაცია. შატუმბო სადგურის აღდგენა-გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	2010	”კომუნპროექტი”
70	**დაბა გუდაურში, “საძელე”-ს საბაგირო გზის რკინაბეტონის საყრდენების ეროზიული ბეტონის გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული**	**2010**	**“გუდაური სკი რესორტ” 2010 აგვისტო 16, №17 ხელშეკრულება**

	ნაწილი		
71	ქ. თბილისში, ვეკუას ქ. №3-ში მდებარე “პირიმზეს” შენობაში ლიფტების მოწყობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	2010	სს “პირიმზე”
72	ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ლილოში მომარაგება-გასაღების სახელმწიფო კომიტეტის ავტო-საწარმოოსა და რკინიგზის ჩიხს შორის მშენებარე ორსართულიანი (სარდაფით) კვების ბლოკის შენობის მეორე სართულის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნა-რეკომენდაციების შემუშავება	2010	“იუნაიტედ-ინტერნეიშენელ სერვისი”-ს 25 მაისი №97 ხელშეკრულება
73	**ქ. თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. №9-ში მდებარე 42 საშუალო სკოლის გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი**	**2010**	**საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო**
74	ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, პირველი კვარტალი, №11 კორპუსზე გადაჯდომით დაშენებული ოთხი სართულის და მანსარდის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	2010	ამხანაგობა“ნუცუბიძე60“

	და პროექტის მონაცემებთან შედარება		
75	ქ. ბორჯომში, შ.პ.ს აიდიეს ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალის კუთვნილი ქარხნების (ბორჯომის №1 და №2 ჩამოსასხმელი ქარხანა) საწარმოო კორპუსების მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნა-რეკომენდაციების შემუშავება	2010	"შ.პ.ს აიდიეს ბევერიჯიზ კომპანის"
76	**ქ.ზუგდიდში,სოფელ ბაშში განლაგებული, ორი გეგმაში მართკუთხედის ფორმის რეზერვუარების (2×10 000მ³) მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა**	**2011**	**შპს "კოქს"**
77	ქ .თბილისში, უზნაძისქ.№9-ში მდებარე შენობის გამაგრების პროექტი	2012	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი
78	ქ .თბილისში, უზნაძისქ.№11-ში მდებარე შენობის გამაგრების პროექტი	2012	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი
79	ქ .თბილისში, უზნაძისქ.№13-ში მდებარე შენობის გამაგრების პროექტი	2012	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი
80	ქ .თბილისში, უზნაძისქ.№15-ში მდებარე შენობის გამაგრების პროექტი	2012	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი
81	" ქ. თბილისში, ლადო	2012	მეექვსე საავტორო

	ასათიანის ქუჩა №28-ში მდებარე მეექვსე საავტორო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის დასადგენად შენობის კონსტრუქციების დეტალური გამოკვლევა და მისი უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება		სკოლის დირექტორს ავთანდილ სვიმონიშვილის
82	ქ.თბილისში, ვერესხევზე მშენებარე საქალაქო ავტომაგისტრალიდან საბურთალოს ქუჩამდე და ი.ჭავჭავაძის გამზირიდან ნ.რამიშვილის ქუჩამდე დამაკავშირებელი სატრანსპორტო გზების მოწყობის პროექტში გათვალისწინებული სანიაღვრე რკინაბეტონის კოლექტორების მილების (შერჩევით სულ 7 ცალი) ბეტონის და არმატურის მექანიკური თვისებების განსაზღვრა".	2012	"კავკასუს როუდ პროჯექტ"-ს დირექტორის ბ-ნ პაატა ტრაპაიძეს
83	საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური ცენტრის „ბასა"-ს ტერიტორიაზე გასახდელების შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.".	2012	შ.პ.ს "ინტექსი"-ს დირექტორის ბ-ნ დავით ბჟალავას
84	**"ქ.თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე "VIP" მაყურებელთა ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციული**	**2012**	**შ.პ.ს "ინტექსი"-ს დირექტორის ბ-ნ დავით ბჟალავა**

	ნაწილის დამუშავება”.		
85	ქ. თბილისში, ივანე თარხნიშვილის ქ. № 13-ში მდებარე სახლში, მოქალაქე ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის ბინის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	2012	მოქალაქე ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი თბილისის განვითარების ფონდი გ. საბანაძე 2 ივლისი 2012
86	სს ‘ბანკი რესპუბლიკა’ სათაო ოფისსი და მის ეზოს ტერიტორიაზე შენობების მზიდი კონსტრუქციების და მათიშემაერთებელი კვანძების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა/დაკვირვება. მიღებული შედეგების საფუძველზე დასკვნა-რეკომენდაციების შედგენა და მოწოდება	2012	ხელშეკ.12/04/001 ბანკი რესპუბლიკა ზ. ვარდიასვილი 26.01.12
87	**ქ. თბილისში, ზაქარაიას ქ.№44-ში მდებარე ერთსართულიან სახლზე სამი სართულის დაშენების პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება**	**2012**	**ხელშ.№4 9.03.12 ს.თოდრია პ/№ 46001000514**
88	ახმეტის რაიონის სოფ. ალვანში, ყოფილი მეურნეობის “კანტორის” შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის მომზადება	2012	ხელშ.6/12 ს.მოზაიძე პ/№08001002352
89	ახმეტის რაიონის სოფ. ალვანში, ყოფილი მეურნეობის “კანტორის” შენობის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება	2012	ხელშ.7/12 ს.მოზაიძე პ/№08001002352
90	ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა №28-ში მდებარე მეექვსე საავტორო სკოლის შენობის დეფორმირებული კონსტრუქციების გაძლიერების და რეკონსტრუქციის	**2012**	ხელშ.7/12/1 მეექვსე საავტორო სკოლის დირექტორს ავთანდილ სვიმონიშვილის. **25** ვნისი 2012

	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება		
91	რუსთაველის გამზირი №42 და გრიბოედოვის ქ.№31-33 –ში მიმდინარე მრავალფუნქციური კომპლექსის კონსტრუქციული ნახაზების დამუშავება	2012	ხელს.2102.80.80 შ.პ.ს “იქს-იგრეკ-ზეტი” ლ. ლომინაშვილი. 08.08.12
92	”ქ.თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ’1-32’ ღერძებს შორის დასავლეთის ტრიბუნების (”VIP” სექტორი) ასაწყობი რკინაბეტონის კოჭების ხუთი რიგის დაშლა დემონტაჟზე სამუშაოთ ორგანიზაციის პროექტის(ს.ო.პ) –ის შემოშავება	2012	საქართველოს ფეხბურტის ფედერაცია დ. სიჭინავა. ხელ. 8/1/12 15.092012
93	”ქ.თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და ნაგებობის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის საჭირო რეკომენდაციების დამუშავება	2012	საქართველოს ფეხბურტის ფედერაცია დ. სიჭინავა. ხელ. 8/12. 19.09.2012
94	თბოელექტროსადგურის ტერიტორიაზე არსებული სააქტო დარბაზის ტექნიკური დათვალიერება და საექსპერტო დასკვნის გაცემა, შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით	2012	საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია 13.10.2012 მ. ბახტაძე.
95	ქ. ქუთაისში, ვაჯა-ფშაველას ქუჩაზე სამი 600 მ^3 მოცულობის რკინაბეტონის მონოლიტური რეზერუარის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი	2012	შ.პ.ს ‘კომუნპროექტი’ ჯ. ტომარაძე
96	ჭ. თბილისსი წერეთლის პროსპექტი №142-სი მდებარე შ.პ.ს ”საქნავთობპროდუქტი”-ის შენობის ვიზუალური გამოკვლევა და მიღებული შედეგების საფუძველზე დასკვნის მომზადება	2013	საქნავთობპროდუქტი ხელშეკრ.1/13. 05.02.2013
97	დედოფლის წყაროს რ-ში, სოფელ გამარჯვებაში წმინდა სამების ეკლესიის პროექტის	2013	შეწირულობა

	კონსტრუქციული ნაწილი		
98	”ქ.თბილისში, მიხეილ მესხის სტადიონის ”VIP”-ის შენობი გასწვრივ ტრიბუნების რეკონსტრუქციის პროექტი	2013	საქართველოს ფეხბურტის ფედერაცია დ. სიჭინავა. ხელ. 2/13. 15.02.2013
99	**”ქ.თბილისში, მიხეილ მესხის მცირე სტადიონის ტრიბუნის მოწყობის პროექტის კონსტრუქცილი ნაწილი**	**2013**	**საქართველოს ფეხბურტის ფედერაცია დ. სიჭინავა. ხელ. 3/13. 19.02.2013**
100	**წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარი ხორნაბუჯის ეპარქია , დედოფლისწყარო**	**2014**	**შეწირულობა**
101	**ქ.თბილისიში, დოლიძის ქუჩაზე მდებარე, კორპოსი27-ის საპროექტო ტექნიკური მდგომარეობის დადგენა..**	**2014**	**მოქალაქე სპანდერაშვილი. ხელ1/14 10.01.14**
102	**ქ.თეთრიწყაროში, თამარმეფის ქ.№34-ში მდებარე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის შენობის სარემონტო სამუშაოებისა და ცენტრალური გათბობის მოწყობის სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა**	**2014**	**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი ხელშეკრულება№37**
103	შენობა-ნაგებობათა (საქართველოს სხვადასხვა რაიონებში 18 ობიექტი, სია თან ერთვის) ძირითად საშუალებად გამოყენებისას დღგ-თი დასაბეგრი ოპერაციების განსაზღვრის ოქმის შესაბამისობის დადგენა	**2014**	სს ”ბანკი კონსტანტა” ხელ.№1404-2014-inf-m01 14.04 014.

104	ბანკი ”რესპუბლიკა”-ს სათაო ოფისის შენობის და ეზოს საინჟინრო-გეოდეზიური გამოკვლევა	**2014**	ხელ. №6141 15.05.14
105	ქ.თბილისში, საირმის ქუჩაზე მდებარე კორპუსი№5- ს გამოკვლევა მასზე ერთი სართულის დაშენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.	**2014**	ხელშ. 03.06 2014.
106	” ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა №28-ში მდებარე მეექვსე საავტორო სკოლის შენობის სხვენში ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილ ფართის მოწყობისათვის რეკორსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება	**2014**	**ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა №28-ში მდებარე მეექვსე საავტორო სკოლა ა.სვიმონიშვილი** ხელშ, 9/14,10/14 01.08.14
107	ბანკი ”რესპუბლიკა ზესტაფონის ს/ც შენობის სარდაფის კვლევა, დასკვნის და გაძლიერების პროექტის მომზადება”	**2014**	**ხელშ.36885. 16.10.2014**
108	ქ.თბილისში, ცაიშის ქ.№5-ში მდებარე საწარმოო შენობების ”გ” და” დ” ნაკვეთურის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნა-რეკომენდაციების შემუშავება	**2014**	**ბანკი “რესპუბლიკა”** **ქ. თბილისი 2014 წლის 27 ნოემბერი**

109	ქ.თბილისში, ცაიშის ქ.№5-ში მდებარე საწარმოო შენობების ”გ” და” დ” ნაკვეთურის ავარიული მზიდი კონსტრუქციების გაძლიერების პროექტი	2015	ბანკი “რესპუბლიკა” ქ. თბილისი 2014 წლის 27 ნოემბერი
110	ქ.დედოფლისწყარო, ხორნაბუჯის ეპარქია, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი. კონსტრუქციული ნაწილი	2015	შეწირულობა
111	” ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა №28-ში მდებარე მეექვსე საავტორო სკოლის შენობის -3.70მ ნიშნულზე,”2-6” და”წ-D” ღერძებს შორის რკინაბეტონის ფილის მოწყობის პროექტი	2015	ხელშეკრულება 101 /15 10.08.2015
112	შპს ”სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ	2015	ხელშეკრულება 05.03.15
113	ახმეტის რაიონი,სოფელი ზემო ალვანი,, ბ. თადიკიძის ინდივიდუალური საცხ. სახლის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრ. აწილის დამუშავება	2015	ხელშეკრულება4/15 30.09.15

114	ქ.თბილისში, ვ. გოძიაშვილის ქუჩა №81-ში მდებარე შ.პ.ს “ორიენტ –ლოჯიკის კუთვნილი ორსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა მასზე ერთი სართულის დაშენებასთან დაკავშირებით	2016	ხელშეკრულება 2-16 15.02.2016
115	ქ.თბილისში, პეკინის33ა-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა, მიკროსაფინანსო პორგგანიზაცია “კრედიტსერვისი+”-ის კუთვნილ ფართში, მზიდ კედელში კარის ღიობის(ან ღიობების) მოწყობასთან დაკავშირებით.	2016	**ხელშეკრულება №3-16** 22 მთებერვალი 2016 წ.
116	„ქ.თბილისში, მარტყოფის 26-ში მდებარე თ. ფეიქრიშვილის კუთვნილებაში მყოფი ერთსართულიანი შენობის (საკ. გეგმა2/1, 6/1) დემონტაჟის სამუშაოების ზეგავლენის დადგენა, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სამეზობლო შენობის (მარტყოფის პირველი ჩიხი №2)ტექნიკურ მდგომარეობაზე.”	2016	**ხელშეკრულება №4-16** 5 მარტი 2016 წ.
117	ქ.თბილისში, უზნაძის და პასტერის ქუჩების შესაყარზე 113ა-ში მდებარე შენობის მიმდებარედ, ტროტუარზე მოწყობილი რკინაბეტონის პანდუსის კონსტრუქციაში გამოყენებული ბეტონის სიმტკიცის დადგენა ურღვევი მექანიკური მეთოდის (სკლერომეტრის) გამოყენებით.	2016	**ხელშეკრულება №5-16** 30 მაისი 2016 წ.

118	ქ.თბილისში, ჩიქობავას და ქურდიანის ქუჩების შესაყარზე, "ლონდონის" ბაღის ტროტუარზე მოწყობილი რკინაბეტონის პანდუსის კონსტრუქციაში გამოყენებული ბეტონის სიმტკიცის დადგენა ურღვევი მექანიკური მეთოდის (სკლერომეტრის) გამოყენებით.	2016	**ხელშეკრულება №6-17** 5 მარტი 2016 წ.
119	ქ.თბილისში, ჩიქობავას 21-ში მდებარე შენობის მიმდებარედ, ტროტუარზე მოწყობილი რკინაბეტონის პანდუსის კონსტრუქციაში გამოყენებული ბეტონის სიმტკიცის დადგენა ურღვევი მექანიკური მეთოდის (სკლერომეტრის) გამოყენებით.	2016	**ხელშეკრულება №6-18** 28 ივნისი 2016 წ.
120	ქ. თბილისში, ლ. ქიაჩელის ქუჩა №16-ში მცხოვრები ქალ-ნი ნ. რამიშვილის კუთვნილებაში მქონე ორსართულიანი (სარდაფით) საცხოვრებელი სახლის, სადარბაზოდან მარჯვენა ნაწილის გამოკვლევა. გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე, შენობის ამ ნაწილის დეფორმირებული მზიდი კონსტრუქციების აღდგენის* პროექტის მომზადება.	2016	**ნარდობის ხელშეკრულება №7-16** 11 ივლისი 2016 წ.
121	"ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელი საშაბერო, გზის და ხევის გადაკვეთაზე მოწყობილი ხიდის სავალი ნაწილის რკინაბეტონის კონსტრუქციაში გამოყენებული ბეტონის სიმტკიცის დადგენა	2016	**ნარდობის ხელშეკრულება №10-16** 23 აგვისტო 2016 წ.

	ურღვევი მექანიკური მეთოდის (სკლერომეტრის) გამოყენებით.”		
122	”ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ლაძვიანში, გზის და ხევის გადაკვეთაზე მოწყობილი ხიდის სავალი ნაწილის რკინაბეტონის კონსტრუქციაში გამოყენებული ბეტონის სიმტკიცის დადგენა ურღვევი მექანიკური მეთოდის (სკლერომეტრის) გამოყენებით.”	2016	ნარდობის ხელშეკრულება №9-16 2 აგვისტო 2016 წ.

123	” ქ.თბილისში, ფალიაშვილის 62 ა-ში მდებარე ოთხსართულიანი აგურის სახლის (ნახევარსარდაფით), აღმოსავ;ლეთის მხარეს არსებული მინაშენის მზიდი კონსტრუქციების და მათი შემაერთებელი კვანძების ტექნიკური მდგომარეობის ვიზუალური გამოკვლევა, სარდაფის სართულის დონეზე, მინაშენის გარე კონტურის გასწვრივ, თვითმზიდი კედლის მოწყობასთან დაკავშირებით. ”	2016	ნარდობის ხელშეკრულება №11-16 7 სექტემბერი 2016 წ.

124	” დაბა მანგლისში, ჩოლოყაშვილის ქ. №1-ში, მცხოვრებ დავით ნეკერაშვილის მფლობელობაში მყოფი ერთსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის ვიზუალური გამოკვლევა, მასზე ერთი სართულის დაშენების მიზნით. გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დაყრდნობით დასკვნის მომზადება”	2016	ხელშეკრულება 12-16 19 ოქტომბერი 2016
125	“ქ. თეთრიწყაროში, გორგასლის ქ. №23-ში, მოქალაქე მარინე ბალუმიანის კუთვნილებაში მყოფი ერთსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა მასზე მანსარდის დაშენებასთან დაკავშირებით”. გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დაყრდნობით დასკვნის მომზადება”	2016	ხელშეკრულება13-16 2016

126	“ქ. თბილისში, თაბულაშვილის ქ. №14-ში, მდებარე შენობის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს განთავსებული ნაკვეთურის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა, ამ ნაკვეთურის სადარბაზოში შესასრულებელი სარესტავრაციო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით”. ვიზუალური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნის მომზადება”	2016	ხელშეკრულება14-16 11 ნოემბერი2016წელი
127	„ქ.თბილისში, თამარაშვილის ქ. №8, ბინა 54-ში (მესამე სადარბაზო, მესამე სართული), ლოჯიის მიმდებარედ არსებული კედელში არსებული კარების ღიობის გაფართოების (ზომებით 4.0X2.565 მ.) შესახებ დასკვნის და პროექტის მომზადება.	2017	ხელშეკრულება1-17 15 თებერვალი 2017წელი
128	„ქ.თბილისში, ვ. გოძიაშვილის ქუჩა №79 ში მდებარე შ.პ.ს “ორიენტ – ლოჯიკის კუთვნილ ტერიტორიაზე სამხრეთით არსებული ბეტონის საყრდენი კედლის რეკონსტრუქციის და ახალი რკინაბეტონის საყრდენი კედლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება”	2017	ხელშეკრულება 2-17 22 მარტი 2017 წელი

129	„ქ.თბილისში, პეკინის 33 ა - ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენას, მიკრო საფინანსო ორგანიზაცია “კრედიტსერვისი+”-ის კუთვნილი ფართში, ტიხრის დემონტაჟის და მზიდ კედელებში კარის ღიობების მოწყობასთან დაკავშირებით”	2017	ხელშეკრულება3-17 29 მარტი 2017წ
130	„დაბა წყნეთში, სატყეო უბანი, ნაკვეთი 008/118-ში არსებული მშენებარე შენობის ეზოს კონტურზე შემომფარგვლელი საყრდენი კედლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება”	2017	ხელშეკრულება№4-17 ქ.თბილისი 22 აპრილი 2017 წ.
131	”დაბა სტეფანწმინდაში მიწის ნაკვეთზე ს/კ 74.01.13.646 არსებული შენობის, (დამკვეთის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურის პროექტის და გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე), რეკორსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება.	2018	ხელშეკრულება№1/18 ქ.თბილისი, 29 აპრილი 2018 წელი
132	.თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-7-ე კვარტლის 5 ა კორპუსში, მოქ. მამუკა აბრამიშვილის საკუთრებაში არსებული(საკადასტრო კოდი № 01.14.04.017.001.01.02.004ა) კომერციულ ფართში, ეზოს მხრიდან კარის ღიობის გაფართოების პროექტის შედგენა.	2018	ხელშეკრულება№3/18 ქ.თბილისი, 08 ივნისი 2018 წელი

133	“ქ. თბილისში, არსენას ქუჩა #28-ში მდებარე ერთსართულიანი, შენობის ტექნიკურ მდგომარეობის დადგენა, მოქალაქე ნუნუ ბიკაშვილს კუთვნილ ბინის, (თხინვალის ქუჩის მხარეს განთავსებული) კედელში ფანჯრების ღიობების მოწყობასთან დაკავშირებით.	2018	ხელშეკრულება№2/18 30 მაისი 2018 წელი
134	-ქ.თბილისში, მექანიზაციის ქ.№ 1-ში მდებარე შენობაზე წარმოდგენილი არქიტექტურული ნახაზების საფუძველზე, საევაკუაციო ლითონის კიბის დეტალური კონსტრუქციული ნახაზების დამუშავება".	2018	ხელშეკრულება№4 09 სექტემბერი 2018 წელი
135	მუნიციპალიტეტი დმანისი, სოფელი უსეინქენდი, შპს “ეცერის” საკუთრებაში არსებული შენობის მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევის საფუძველზე მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და მიღებული	2018	ხელშეკრულება№5/1 27 სექტემბერი 2018 წელი

	შედეგების მიხედვით დასკვნის მომზადება”.		
136	ქ.დედოფლისწყარო, სს „არწივის ხეობა“-ს კუთვნილ კირქვის კარიერზე ტრანსპორტიორის საყრდენი ანძის რკინაბეტონის დეფორმირებული საძირკვლის გაძლიერების პროექტის მომზადება.“	2018	ხელშეკრულება№5 10სექტემბერი 2018 წელი
137	დედოფლისწყაროს ცენტრალური სტადიონის ადმინისტრაციული შენობის ვიზუალური გამოკვლევის საფუძველზე მისი ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და დამკვეთის მიერ წარმოდგენილი რეაბილიტაციის პროექტის გათვალისწინებით დასკვნის მომზადება.	2818 წ.	ხელშეკრულება№7 14 ოქტომბერი 2018 წელი
138	ქ.თბილისში, ბუდა[პესტის ქ.№7-ში მდებარე შენობის, ფასადიდან მარცხენა ტოესულ ფასადზე არსებული ოთხსართულიანი მინაშენის მზიდი კონსტრუქციების გამოკვლევის საფუძველზე ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და დასკვნის მომზადება.	2818 წ.	ხელშეკრულება№8 30 დეკემბერი 2018 წელი
139	ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა 28-ში მდებარე მეექვსე საავტორო სკოლის შენობის სხვენში სასწავლო ოთახების მოსაწყობად პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება.”	2019 წ.	ხელშეკრულება№5/1 9 30 დეკემბერი 2018 წელი

140	“ქ. თბილისში, ბეთანიის დასახლება, ორსართულიანი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მომზადება.”	2019 წ.	ხელშეკრულება№8/19 19 ივნისი 2018 წელი
141	“ქ.თბილისში, ორთაჭალის ქუჩა №92 ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მომზადება.	2019 წ.	ხელშეკრულება№9/19 17 ივნისი 2018 წელი
142	“ დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარკინეთი, სპს “საზოგადოებრივი კოლეჯი შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიას” ყველის ქარხნის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება”	2019 წ.	ხელშეკრულება№10/19 10 სექტემბერი 2018 წელი
143	”ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას 42-ში მდებარე შენობის ”ბ” კორპუსის, მესამე სართულზე მდებარე სათავსოს სართულთშუა გადახურვის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა, მასზედ გაზრდილი დატვირთვების ზემოქმედებასთან დაკავშირებით.”	2020	ხელშეკრულება №1/20 ქ. თბილისი, 29 იანვარი 2020 წ.
144	ქ.თბილისში,ერისთავის1-ში განთავსებული ერთსატრთულიანი საწარმოო შენობის კონსტრუქციების და მათი შეერთების კვანძების ვიზუალური გამოკვლევის საფუძველზე ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და დასკვნის მომზადება	2020	ხელშეკრულება №2/20 ქ. თბილისი, 4 თებერვალი 0 წ.

145	დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარკინეთი, ყველის ქარხნის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება. არსებული პროექტის კორექტირება ”	2020	ხელშეკრულება №3/20 ქ. თბილისი, 25 მარტი2020 წ.

ზურაბ კუჭუხიძე პ/ნ 01030019032

C V

პ ი რ ა დ ი ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

კოორდინატები
ქ. თბილისი, ვეძათხევის ქ, №10
ტელ: სახ.2 96-36-68. მობ.577-42-69-48
E-mail ZURABKUCHUKHIDZEZ@YAHOO.COM
სახელი- ზურაბი
გვარი- კუჭუხიძე
დაბადების
თარიღი- 27.08.1952
განათლება- უმაღლესი
1969-1974წწ ქ. თბილისის, პოლიტექნიკური ინსტიტუტი,სპეციალობა- „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა“
კვალიფიკაცია-ინჟინერ მშენებელი
შრომითი საქმიანობა
1974-1975წწ „საქქალაქმშენსახპროექტი“- ინჟინერ - კონსტრუქტორი;
1975-1978წწ კ.ს. ზავრიევის სახელობის „სამშენებლო მაქანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტი“-ს ასპირანტი;
1978-1979წწ ამავე ინსტიტუტის-ინჟინერი;
1979წ-ამავე ინსტიტუტის -უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი;

1986წ -„ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი“;
1986წ-ამავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი;
2004წ- ამავე ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი;
2011წ- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის, სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი;
2011.12.26- განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.
2011.12.26 დან დღემდე შპს “შენობა ნაგებობათა სეისმური უსაფრთხოების ცენტრი”-ს ინჟინერი.
15 სტატიის , ორი გამოგონების , ორმოცდათამდე სახელშეკრულებო თემის ავტორი და თანაავტორი, დამუშავებული და გამოცემული ხუთასამდე ახალი და დეფორმირებული შენობების გაძლირების პროექტი.
კომპიუტერული ცოდნა: LIRA-9.4-9.6, ავტოკადი, საოფისე პროგრამები.
ენები
ქართული-მშობლიური;
რუსული -კარგად;
ინგლისური -ლექსიკონით.



დიპლომი

წარჩინებით

Я № 165006

ეს დიპლომი მიეცა ჯუყუხიძე
ზურაბ არჩილის-ძეს
მასზე, რომ იგი 1969 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი.ლენინის სახ
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1974 წელს დამთავრა
ათნაშუალი ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 19 74 წ.
„ 28 “ ივნისის გადაწყვეტილებით
ზ.ა.ჯუყუხიძეს მიენიჭა
ათნაშუალი მშენებლის კვალიფიკაცია.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი
ბ. ა.
ქალაქი თბილისი 1974წ. „ 23 “ IX
სარეგისტრაციო №ს. 34 86

Грузинский яз.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Я № 165006

Настоящий диплом выдан Кучухидзе
Зурабу Арчиловичу
в том, что он в 1969 году поступил
в Грузинский политехнический
ин-т им. В.И. Ленина
и в 1974 году окончил полный курс
названного института
по специальности
Промышленное и гражданское
строительство
Решением Государственной экзаменационной
комиссии от „ 28 “ июня 1974 г.
Кучухидзе З. А.
присвоена квалификация
инженера-строителя
Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь
м. п.
Город Тбилиси „ 23 “ IX 1974 г.
Регистрационный № Т. 34 86

Московская типография Гознака. 1972.



ДИПЛОМ

КАНДИДАТА НАУК

ТН № 093653

Москва 8 октября 1986 г.

Решением

Совета при Грузинском НИИ энергетики и гидротехнических сооружений

от 25 апреля 1986 г. (протокол № 4)

Кугушидзе Зураб Аршиловичу

присуждена ученая степень

КАНДИДАТА

ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель совета

Ученый секретарь совета